ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3786706

ნომერი: AR1568076

თარიღი : 29.12.2017

გაცემის თარიღი : 25.01.2018

გაცნობის თარიღი : 25.01.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა ჭირნახული , მიმდებარედ , (ნაკვეთი 02/046) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 29 დეკემბრის #AR1568076 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2017 წლის 28 დეკემბრის № 3758054 გადაწყვეტილების არარად აღიარებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის #3105529 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ლილოს

დასახლება, ჭირნახულის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 02/046), #01.19.27.002.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
მოგვიანებით, სამსახურს 2017 წლის 08 დეკემბერს #AR1563099 განცხადებით მომართა ლაშა ლალიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის #3105529 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. კერძოდ, საპროექტო ობიექტად, სავაჭრო პავილიონის და ავტოგასამართი ნაგებობების დაფიქსირება. 2017 წლის 28 დეკემბრის № 3758054 გადაწყვეტილებით ლაშა ლალიაშვილს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. დღეისათვის, ლაშა ლალიაშვილი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 28 დეკემბრის № 3758054 გადაწყვეტილების არარად აღიარებას, ვინაიდან მისი განმარტებით, 2017 წლის 28 დეკემბრის № 3758054 გადაწყვეტილება უკანონოა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა, ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ხოლო, ამავე კოდექსის მე–60 პრიმა მუხლით განსაზღვრულია აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ლაშა ლალიაშვილის მოთხოვნა სამსახურის 2017 წლის 28 დეკემბრის № 3758054 გადაწყვეტილების არარად აღიარებასთან დაკავშირებით.
თუ თვლით, რომ სამსახურის 2017 წლის 28 დეკემბრის № 3758054 გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები და იგი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს თქვენს კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.